<u>პროექტი</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება N

2019 წლის ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის N2-1038 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის N2-1038 ბრძანებით (სსმ, 25/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 340020000.22.023.016561) დამტკიცებულ „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ეროვნული კატალოგი შეიძლება დაიყოს სახეობების მიხედვით.“.

2. მე-4 მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტები:

„გ) როდესაც შემოწმებით დადასტურდება, რომ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის ჯიში აღარ არის განსხვავებული, ერთგვაროვანი ან სტაბილური;

დ) როდესაც არ სრულდება ამ წესის დადგენილი მოთხოვნები;

ე) როდესაც ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანაზე განაცხადის შეტანის ან შემოწმების დროს, მიწოდებულია მცდარი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მოხდა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანა.“.

3. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. ეროვნულ კატალოგში შეტანილი ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურათა ჯიშები უნდა იქნეს შენარჩუნებული ჯიშების შენარჩუნების არსებული პრაქტიკის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული

კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის N2-1038 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის N2-1038 ბრძანებაში ცვლილების შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) რომლის მე-4 თავის, თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება (DCFTA -ის თავი 4, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები,დანართი XI ბ).

პროექტი შემუშავებულია ზემოხსენებული დირექტივების შესაბამისად.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა, რომ ეროვნული კატალოგი შეიძლება დაიყოს სახეობების მიხედვით.

პროექტის შესაბამისად, ეროვნულ კატალოგში რეგისტრირებული ჯიშის რეგისტრაციის გაუქმება მოხდება, როდესაც: შემოწმებით დადასტურდება, რომ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის ჯიში აღარ არის განსხვავებული, ერთგვაროვანი ან სტაბილური; არ სრულდება ამ წესის დადგენილი მოთხოვნები; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანაზე განაცხადის შეტანის ან შემოწმების დროს, მიწოდებულია მცდარი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მოხდა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანა.“.

ასევე დადგინდა, რომ ეროვნულ კატალოგში შეტანილი ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურათა ჯიშები უნდა იქნეს შენარჩუნებული ჯიშების შენარჩუნების არსებული პრაქტიკის შესაბამისად.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი შემუშავებულია, „ბოსტნეულის თესლის მარკეტინგის შესახებ“ საბჭოს 2002/55/EC დირექტივის და „ჭარხლის თესლის მარკეტინგის შესახებ“ საბჭოს 2002/54/EC დირექტივის მიხედვით.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ჯიშების ეროვნულ კატალოგში რეგისტრაციის პროცესს.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.